პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 11 სექტემბერი, 1942 წ. № 216 (6532). ფასი 15 კაპ.

საუკეთესოდ მოვემზადოთ საქონლის გამოზამთრებისათვის

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკებმა გააძლიერეს საქონლის მოვლა-პატრონობა. ჩვენში საქონლის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა განუხრელად იზრდება. ამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მთელმა რიგმა რაიონებმა ვადამდე შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების 1942 წლის გეგმა. მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ზამთარი ფრიად პასუხსაგები პერიოდია მეცხოველეობაში. საქართველოს მეცხოველეობის მუშაკთა საზრუნავია ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ზამთარს და უზრუნველჰყონ საქონლის საუკეთესოდ გამოზამთრება. სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე მოწინავე კოლმეურნეობები ამთავითვე შეუდგნენ ზამთრისათვის მზადებას, სრულ წესრიგში მოჰყავთ საქონლის სადგომები, საკმაო რაოდენობით იმარაგებენ უხეშ და წვნიან საკვებს და, რაც მნიშვნელოვანია, საკვებს ეზიდებიან მეცხოველეობის ფერმების ბინებთან.

მთავარია ახლავე შევუდგეთ საქონლის გამოზამთრებისათვის მზადებას, გადაჭრით გავაძლიეროთ მზადების ტემპები, გავითვალისწინოთ ყოველი წვრილმანი, რომ ბოლშევიკური შეუპოვრობით გადავლახოთ ომიანობის ვითარებით გამოწვეული სიძნელეები.

მაგრამ ზოგან საქონლის გამოზამთრებისათვის მზადების მხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, ადგილი აქვს ამ სამუშაოთა თვითდინებაზე მინდობას. საგარეჯოს, ყარაიის, ლაგოდეხის, ყვარლის, თიანეთის, დუშეთის, კასპის, გორის, ხაშურის და ადიგენის რაიონებში დროზე არ შეასრულეს საკვების აღრეული დასილოსების გეგმები. საქონლის უზრუნველყოფა წვნიანი საკვებით ზამთრისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და მას ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

არ კმარა საქონლისათვის მარტო საკვების დამზადება. გასული წლების პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ დიდმნიშვნელოვანია დამზადებული საკვების საქონლის გამოზამთრების ადგილზე დაჩქარებით მიზიდვა. ზოგან კი ამას არ ითვალისწინებენ და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ამ საქმის მოსაგვარებლად. ეს ითქმის სიღნაღის, წითელწყაროს, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, თბილისის, მცხეთის და სხვ. რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებზე.

ქუთაისის, ჩოხატაურის, ახალციხის, ადიგენის რაიონებში ნელი ტემპით მიმდინარეობს საქონლის სადგომების გარდამავალი მშენებლობის სამუშაოები, რაც ყოვლად შეუწყნარებელია ომიანობის ვითარებაში.

იმისათვის, რომ წითელ არმიას, მოსახლეობას მივცეთ მეცხოველეობის მეტი პროდუქცია, საჭიროა საქონელი ზამთარში უზრუნველვყოთ თბილი, სუფთა და ნათელი ბინით. კოლმეურნეობებმა უნდა დააჩქარონ სადგომების მშენებლობის დამთავრება. იმ კოლმეურნეობებმა, რომელთაც არ მოეპოვებათ მეცხოველეობის ტიპიური სადგომები, შესაფერისად უნდა მოაწყონ და გადააკეთონ არსებული ნაგებობანი.

ზამთარში საქონელი რომ უზრუნველყოფილ იქნას უხეში და წვნიანი საკვების საკმაო რაოდენობით, საჭიროა მთლიანად ავიღოთ თივის წლევანდელი უხვი მოსავალი, ჩავატაროთ განმეორებითი თიბვა და აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი ცენტნერი თივა, მთლიანად შევაგროვოთ ნამჯა და ჩალა, გულმოდგინედ დავიცვათ იგი გაფუჭებისაგან, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასილოსე ნედლეულის ყველა რესურსი დასილოსების გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, ზუსტად აღვრიცხოთ საქონლის საკვები და დავაწესოთ მტკიცე კონტროლი მის წესიერ ხარჯვაზე. საქონლის საკვების გამნიავებლები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

მეცხოველეობის ფერმებში შრომის სწორად მოწყობას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. მეცხოველეობის ბრიგადები უნდა შეივსოს უნარიანი, მცოდნე ადამიანებით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გამოცდილი, მცოდნე მწყემსებით დაკომპლექტება იმ ბრიგადებისა, რომელნიც საზამთრო საძოვრებზე იგზავნებიან.

ამ თავითვე ცალკე უნდა გამოვყოთ სუსტი საქონელი, რომელიც გაძლიერებულ კვებასა და მოვლას საჭიროებს. საქონლის მთელი ბაგური კვების განმავლობაში მტკიცედ უნდა დავიცვათ კვების რაციონი, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ღონისძიებები.

დიდი ამოცანებია მეცხვარეობის დარგში. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ზამთარში არ დაიხოცოს არც ერთი სული ცხვარი. დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა აქედანვე ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა ცხვრის კარგად გამოზამთრებისათვის, დამკვრელური ტემპებით გააჩაღონ საზამთრო სადგომების მშენებლობა, შექმნან საკვების საჭირო მარაგი, შეარჩიონ კადრები და ენერგიული ზომები მიიღონ ზამთრის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის.

საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობები წელს უფრო უკეთესად ემზადებიან ზამთრისათვის, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა ტრესტმა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა უფრო გააძლიერონ ზამთრისათვის მზადება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა უნდა შეამოწმონ კოლმეურნეობებში საქონლის გამოზამთრებისათვის მზადება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში და ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს,—ასეთია ამოცანა.

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკებო! როცა სამშობლო საფრთხეშია, თქვენი პატრიოტული ვალია კიდევ უფრო დაძაბოთ მთელი ძალღონე ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად. მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და წითელ არმიას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

9 სექტემბერს ღამით ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს ბუდაპეშტი, ბერლინი, კენიგსბერგი და აღმოსავლეთ გერმანიის ზოგიერთი სხვა ქალაქი

9 სექტემბერს ღამით ჩვენი თვითმფრინავების დიდმა ჯგუფმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დაბომბა ქალაქების ბუდაპეშტის, ბერლინის, კენიგსბერგის და აღმოსავლეთ გერმანიის ზოგიერთი სხვა ქალაქის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები.

დაბომბვის შედეგად ბუდაპეშტში გაჩნდა ხანძრის 38 კერა, მათ შორის 12 დიდი ზომისა. აღნიშნულია დიდი ძალის 8 აფეთქება.

ბერლინში გაჩნდა ხანძრის 12 კერა, მათ შორის 6 დიდი ზომისა. აღნიშნულია დიდი ძალის 4 აფეთქება.

კენიგსბერგში გაჩნდა ხანძრის 16 კერა, მათ შორის 6 დიდი ზომისა. აღნიშნულია დიდი ძალის 4 აფეთქება.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, 2-ის გარდა, თავის ბაზებში დაბრუნდა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კონსტრუქტორ ამხ. ა. ს. იაკოვლევის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის საბრძოლო და სასწავლო-სატრენინგო თვითმფრინავების მაღალხარისხოვანი ახალი ტიპების შექმნისათვის დაჯილდოებულ იქნას კონსტრუქტორ ამხ. ა. ს. იაკოვლევის საცდელი საკონსტრუქტორო ბიურო ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1942 წ. 6 სექტემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კონსტრუქტორ ამხ. ს. ვ. ილიუშინის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის საბრძოლო თვითმფრინავთა მაღალხარისხოვანი ახალი ტიპების შექმნისათვის დაჯილდოებულ იქნას კონსტრუქტორ ამხ. ს. ვ. ილიუშინის საცდელი საკონსტრუქტორო ბიურო ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1942 წ. 6 სექტემბერი.

კონსტრუქტორ ამხ. ა. ს. იაკოვლევის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა დაჯილდოება

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა შეიარაღებაში მიღებულ თვითმფრინავთა შექმნის საქმეში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა კონსტრუქტორ ამხ. ა. ს. იაკოვლევის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა ჯგუფი:

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია პ. ი. ფედოროვი—მფრინავი-გამომცდელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი,

წითელი ვარსკვლავის ორდენით—5 კაცი,

„საპატიო ნიშნის“ ორდენით—7 კაცი,

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—7 კაცი (საქტესი).

კონსტრუქტორ ამხ. ს. ვ. ილიუშინის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა დაჯილდოება

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა შეიარაღებაში მიღებულ თვითმფრინავთა შექმნის საქმეში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა კონსტრუქტორ ამხ. ს. ვ. ილიუშინის საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა ჯგუფი:

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 2 კაცი,

„საპატიო ნიშნის“ ორდენით—5 კაცი,

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—10 კაცი (საქტესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 სექტემბრის დილის ცნობა

9 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან სტალინგრადის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე ნოვოროსიისკისა და მოზდოკის რაიონებში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის დასავლეთით ჩვენი ჯარები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებსა და ქვეით ჯართან. ნ მსროლელთა ნაწილმა მოიგერია ჰიტლერელთა რამდენიმე იერიში და მოსპო გერმანელთა 7 ტანკი და 200-მდე მეავტომატე. სხვა უბანზე ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოგერიებულია რუმინელთა ქვეითი ჯარის იერიში. გაჟლეტილია 350-ზე მეტი რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით საბჭოთა ჯარები იგერიებდნენ შემომტევი მტრის იერიშებს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია გერმანელთა 8 ტანკი და ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ნოვოროსიისკის რაიონში ჩვენი ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბანში ნ შენაერთის მებრძოლებმა დღე-ღამის განმავლობაში მოიგერიეს მტრის ათი იერიში. გერმანელებმა თავდაპირველად მოახერხეს ჩვენი ნაწილების შევიწროება. ჩვენმა მებრძოლებმა გადააჯგუფეს თავიანთი ძალები, კონტრიერიშზე გადავიდნენ და მტერი უკუაგდეს. ამ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 9 ტანკი, 4 ჯავშნიანი მანქანა და 14 ავტომანქანა. ჰიტლერელებმა მოკლულთა სახით 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები კვლავ ურტყამდნენ მტრის დაჯგუფებას მდინარის სამხრეთ ნაპირზე. ამ უბანზე სამი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 53 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 13 ავტომანქანა, 10 ქვემეხი და ერთ პოლკზე მეტი მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ნ ნაწილმა გასწყვიტა გერმანელთა 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 6 მიწური საცეცხლე წერტი, 9 ბლინდაჟი, ერთი სამეთვალყურეო პუნქტი, დაზიანებულია 3 ტანკი, ჩახშობილია 5 ნაღმსატყორცნი ბატარეისა და ერთი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. იმ ნაწილის მებრძოლებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. მუხინი, უკანასკნელი დღეების განმავლობაში თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

იტალიელთა 54-ე ქვეითი პოლკის მე-5 ასეულის 1-ლი ოცეულის ტყვე მეთაურმა ლეიტენანტმა რობერტო ფერერომ განაცხადა: „20 აგვისტოს რუსებმა ზურგიდან მოგვიარეს. ბატალიონის მეთაურის ბრძანებით ჩვენ ბრძოლაში არ ჩავებით და საჩქაროდ უკან დავიხიეთ. უკანდახევისას ბატალიონს ძლიერ დაუშინეს და მან სულ მცირე 200 კაცი დაჰკარგა. 21 აგვისტოს ბატალიონს გარს შემოერტყნენ რუსები და თითქმის სავსებით მოსპეს, ცოცხალი დარჩა მხოლოდ 30 კაცი. ამავე დროს იმ რაიონში უკან დაიხია ჩვენი პოლკის მესამე ბატალიონმაც, რომელმაც ორი დღის განმავლობაში 800 კაცი დაჰკარგა. ამნაირად, 54-ე პოლკმა ფაქტიურად შესწყვიტა არსებობა“.

* * *

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ფრიდრიხ ჰიტსფელდს უპოვნეს მ. დიტლის წერილი. წერილში ნათქვამია: „ჩვენში აქ მამაკაცთაგან მხოლოდ დასახიჩრებულნი დარჩნენ. ჩემი ყოფილი თანაშემწე ვილი ზიკი დაჭრილია და ამას წინათ ჩემთან მოვიდა. თავის დროს იგი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, ახლა კი მოყირჭებული აქვს ომი. იგი ამბობს, უმალ თავს ჩამოვიხრჩობ, ვიდრე რუსეთში ფრონტზე დავბრუნდებოდეო“.

* * *

პეტენ-ლავალის ხროვა ტყავში ძვრება, რათა გერმანელ დამპყრობთ აამოს. ბერლინიდან მიღებული ბრძანებით ვიშელმა ლაქიებმა საფრანგეთში ბევრი საწარმო დახურეს და ქუჩაში გარეკეს ათიათასობით მუშა და ინჟინერი. შიმშილის გზით ცდილობენ ისინი აიძულონ ფრანგები გერმანიის კატორღაში წასასვლელად. მაგრამ ფრანგ მუშებს არა სურთ გერმანელთა მონობა. უკანასკნელ დროს პარიზში გაანადგურეს გერმანელთა 4 საქირაო ბიურო, ხოლო ბევრ დამქირავებელს სცემეს. ნანტსა და ლიონში გერმანელთა საქირაო ბიუროების შენობებში ბომბები შეაგდეს.

10 სექტემბრის საღამოს ცნობა

10 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გაფიცხებულ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე მოზდოკის რაიონში და ქუჩის ბრძოლებს ნოვოროსიისკში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

9 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 30-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 150 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 40 საზიდარი საომარ მასალიანად, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 14 ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრიეს სარკინიგზო შემადგენლობა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის დასავლეთით გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლები. ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მძიმე მოგერიებითი ბრძოლების შემდეგ 3 დასახლებული პუნქტი დასტოვეს. 6 ნაწილის პოზიციას უტევდა გერმანელთა 50-მდე ტანკი და მტრის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი და გაჟლიტეს 400-მდე ჰიტლერელი. მტრის ტანკების ჯგუფი მნიშვნელოვანი მაღლობის რაიონში გამოიჭრა. დღის განმავლობაში აქ შეუპოვარი ბრძოლები იყო ცვალებადი წარმატებით.

საბჭოთა მფრინავები განუწყვეტლივ ურტყამდნენ გერმანელთა ჯარების საბრძოლო წყობილებებსა და რეზერვებს, რომლებიც მტერს მოსდის. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა სტალინგრადის ფრონტზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 30-მდე ტანკი და 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ტანკისტებმა მტრის იერიში მოიგერიეს, მოსპეს 13 ტანკი და დახოცეს 150 გერმანელი მეავტომატე. ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულია მტრის ქვეითი ჯარის დიდი შეჯგუფება, მოსპობილია 14 ავტომანქანა და აფეთქებულია მტრის საომარ მასალათა 2 საწყობი.

* * *

ნოვოროსიისკის რაიონში ჩვენი ნაწილები გაფიცხებულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარებთან, რომლებიც ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბანში შემოიჭრნენ. საზღვაო ქვეითი ჯარის ნ ქვეგანაყოფი გარშემორტყმულ იქნა ჰიტლერელების მიერ. უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, მეზღვაურებმა გასწყვიტეს 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და გარემოცვიდან გამოვიდნენ. მეთაურ ამხ. პანასენკოს საარტილერიო ბატარეამ პირდაპირი დამიზნებით გასწყვიტა მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს წყლის ზღუდეზე გადმოსულ მტრის ჯარებთან. ჰიტლერელებს ამ უბანზე უდიდესი ზარალი მოსდით. გერმანელთა 370-ე ქვეითი დივიზიის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გვაცნობეს, რომ მათი დივიზია განადგურებულია წყლის ზღუდესთან ბრძოლებში. ბევრი ბატალიონი მთლად მოსპობილია. გადარჩენილ ასეულებში 10-12 კაცი-ღა დარჩა.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ უბანზე მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. თავდაპირველად ჰიტლერელებმა მოახერხეს ჩვენი ნაწილების შევიწროება და ერთი დასახლებული პუნქტის გარეუბნებში შემოჭრა. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ჩვენმა ნაწილებმა საღამოსათვის კონტრიერიშით აღადგინეს მდგომარეობა და ბრძოლას ეწეოდნენ წინანდელ ზღუდეებზე. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი, 6 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 24 ავტომანქანა და 3 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მოკლულ გერმანელ ოფიცერს გერმანს უპოვნეს მისი მეგობრის გოტფრიდის წერილი კრაკოვიდან. წერილში ნათქვამია: „მე კვლავ დავიჭერი და ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე ბედნიერად გადავრჩი. საეჭვოა თუნდაც ერთი გადარჩეს უვნებელი იმათგან, ვინც სამხრეთის ბრძოლებში მონაწილეობს. ჩვენს პოლკს ისეთი ზარალი მოუვიდა, რომ მისგან მხოლოდ სახელწოდება დარჩა. ჩვენ თავი მოვუყარეთ უმაგალითო რაოდენობის ტანკებს, არტილერიას, ტყვიამფრქვევებსა და ავიაციას. იმედი გვქონდა, რომ მალე გავუსწორდებოდით რუსებს და შევუდგებოდით ამოცანათა გადაწყვეტას დასავლეთში. მაგრამ სწორედ აქ მოვტყუვდით. რუსები არნახულ შეუპოვრობას იჩენენ. ყოველი პატარა სოფელი სტალინგრადთან დიდ და აუნაზღაურებელ ზარალად გვიჯდება“.

* * *

გერმანელთა მე-18 მოტორიზებული დივიზიის 51-ე პოლკის ჯარისკაცებმა ადოლფ შ-მ და კარლ ე-მ, რომლებიც ნებაყოფლობით გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე, გვიამბეს იმ მხეცობის შესახებ, რასაც გერმანელი ხელისუფალნი საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ სჩადიან. „არენტოვო-ხუდუვის გზის მშენებლობაზე რუსი სამხედრო ტყვეები მუშაობდნენ. პირობები, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ, აუტანელი იყო. ბანაკის უფროსი ითვისებდა იმ საშიმშილო ნორმის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ტყვეებს უნდა მიეღოთ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ბანაკში მუცლის ტიფის ეპიდემია გაჩნდა. ყველა ავადმყოფი ერთ ბარაკში გადაიტანეს და მოსწამლეს. ღამე ისინი ერთ საერთო ორმოში დამარხეს“.

* * *

გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან და გერმანელების მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირ - გერმანიის ფრონტიდან განუწყვეტლივ მიედინება დაჭრილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უდიდესი ნაკადი. ვენის ერთ-ერთ ვაგზალში 6 სანიტარული მატარებელი ერთ კვირას იდგა და დაცლას ელოდა. ამ ხნის განმავლობაში ვაგონებში 67 დაჭრილი მოკვდა. ადგილების რაოდენობა რომ გაადიდონ, ზოგიერთ ჰოსპიტალში ორ იარუსად აწყობენ საწოლებს. მიუნხენის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, რომელიც 400 ადგილისათვის არის ნავარაუდევი, 1.000-მდე კაცია. დაჭრილები კორიდორების იატაკსა და კიბის ბაქნებზე წვანან.

დაკავებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი

დასავლეთის ფრონტი, 10 სექტემბერი. (საქტესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა სცადეს კონტრიერიში მოეტანათ ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ. ჰიტლერელთა ქვეითს ჯარს ეხმარებოდნენ ტანკები და ავიაცია. საბჭოთა მებრძოლები მედგრად აკავებდნენ მტრის კონტრიერიშს და დიდ ზარალს აყენებდნენ მას. გერმანელთა სარდლობამ ახალი ძალები გამოიყვანა ბრძოლაში. მაგრამ მალე ჰიტლერელები გამოიფიტნენ და თავდაცვაზე გადავიდნენ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა პოზიციებზე გამაგრების საშუალება არ მისცეს გერმანელებს და გაბედული დარტყმით უკუაქციეს ისინი.

პირველი დღე-ღამის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა ფლანგიდან დაარტყეს მტერს და შარა გზასთან ახლო მდებარე მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან გარეკეს იგი. მალე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა ტყის მასივში. ამ ბრძოლების დროს ხშირი იყო ხელჩართული შეტაკებანი.

გვარდიის კაპიტან დერყავინის ქვეგანაყოფმა, რომელიც ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლით სწმენდდა ტყეს, სამი საათის განმავლობაში 5-6 კილომეტრით წაიწია წინ. ფაშისტებმა სცადეს ფლანგიდან შემოევლოთ ქვეგანაყოფისათვის, მაგრამ დერყავინმა ეს გაითვალისწინა და დროულად მოაწყო დაცვა. გვარდიელები უეცრად შეიჭრნენ ერთ-ერთ სოფელში და ხელთ იგდეს 5 ქვემეხი, 80 ყუთი ჯავშანსაწინააღმდეგო ყუმბარებიანად, 2 ავტომანქანა, 6 ტყვიამფრქვევი.

მტრის ზურგში გაბედული გალაშქრება მოაწყო მებრძოლთა ჯგუფმა გვარდიის უმცროს ლეიტენანტ სახნოს მეთაურობით. გვარდიელებმა ძლიერი დარტყმა აგემეს მტერს და ხელთ იგდეს ტყვეები, გერმანელთა ბატარეა და შტაბი.

ტყვეების ჩვენებიდან სჩანს, რომ გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. ამ უკანასკნელ დღეებში ჰიტლერელები იძულებული იყვნენ ბრძოლაში გამოეყვანათ შტაბის ასეულები და ბრიანსკის რაიონიდან გადაყვანილი 75-ე მესანგრე ბატალიონი.

შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება. ინიციატივა ჩვენს ხელშია.

ვ. არეფიევი

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საქტესი). ბომბეიში პოლიციამ ხელკეტებითა და ცრემლმდენი გაზებით გაჰფანტა დემონსტრაცია. დაჭრილია 16-ზე მეტი კაცი.

კალკუტაში გრძელდება სტუდენტთა ნაწილობრივი გაფიცვა. გაფიცულები ზარალს აყენებენ სასწავლებელთა ქონებას, მათ ცეცხლი წაუკიდეს სასკოლო სამმართველოს შენობას.

ბაგალპურის (ბიჰარის პროვინცია) ცენტრალურ საპატიმროდან გაქცევა სცადა 600 პატიმარმა. დარაჯებთან შეტაკებისას მოკლულია 28 და დაჭრილია 87 პატიმარი.

გემების სარეკორდო ჩაშვება წყალზე ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საქტესი). 7 სექტემბერს, „შრომის დღეს“, მთავრობისა და კერძო გემთსაშენებზე ა. შ. შტატებში წყალზე ჩაუშვეს 174 სხვადასხვა გემი. მათს რიცხვში წყალში ჩაუშვეს ახალი ტიპის სადესანტო გემი, რომელიც განკუთვნილია ტანკებისათვის. ეს არის ყველაზე დიდი გემი, რომელიც აშენებულია ა. შ. შტატების შიდა გემთსაშენებში. იმავე დღეს გემთსაშენებში საფუძველი ჩაუყარეს 49 ახალ გემს.

ამერიკის გემთსაშენების ეს მიღწევანი მსოფლიო რეკორდს წარმოადგენენ. დღემდე სარეკორდოდ ითვლებოდა ამერიკაში 95 გემის წყალზე ჩაშვება, რაც 1918 წლის 4 ივლისს მოხდა.

კავკასიის კარიბჭესთან

გააფთრებული ბრძოლები კავკასიის კარიბჭესთან არც დღისით სწყდება და არც ღამით. მტერი ანგარიშს არ უწევს უდიდეს დანაკლისს, წინ მოისწრაფვის და თერგის ხეობაში სტოვებს თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა უამრავ გვამებს, დამსხვრეულ ტანკებს, ქვემეხებს, ავტომანქანებს.

ჯავშნიანი მატარებლების ბრძოლა ტანკებთან

გერმანელთა ტანკების კოლონა სადგურ ნ-სკენ გამოიჭრა. მტრის შემოტევის უაუგდება დაევალა ჯავშნიან მატარებელს, რომლის მეთაურიც არის ამხ. ბოროდავკო.

ტყიდან ჯავშნიან მატარებელს თავს დაესხა მტრის ათი ტანკი. ფაშისტებმა ვერ მოასწრეს გაშლილიყვნენ, რომ ჯავშნიანი მატარებლის არტილერიამ მათ სროლა აუტეხა. ქვემეხის გუნდმა პირდაპირი დამიზნებით ზედიზედ მოსპო ორი ტანკი. მტრის თითო ტანკი დააზიანეს სერჟანტების ჟირენკოვისა და დიმიჩის ქვემეხთა გუნდებმა.

გერმანელებმა უკან დაიხიეს და ტყეს შეეფარნენ. მაგრამ ჯავშნიანმა მატარებელმა კიდევ რამდენიმე კილომეტრის გავლა ვერ მოასწრო, რომ ფაშისტები კვლავ იერიშზე გადმოვიდნენ. მალე მაშველი ძალაც გამოუჩნდათ: 30 ტანკისაგან შემდგარი ახალი კოლონა სრული სისწრაფით მოეშურებოდა ბრძოლის ადგილისაკენ.

მაგრამ ჩვენებსაც მოუვიდა მაშველი ძალა—მეორე ჯავშნიანი მატარებელი ამხ. კუჩმას მეთაურობით. ორივე ჯავშნიანი მატარებელი მიუახლოვდა ტანკებს და ყველა ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით იწყო მათი განადგურება. მინდორზე სხვადასხვა ადგილას ალი მოედო მტრის კიდევ სამ ტანკს. შემდეგ დაზიანებული ტანკების რიცხვი ცხრამდე გაიზარდა. ამას ორი კიდევ დაემატა.

მტრის დანაკლისი იზრდებოდა, მაგრამ იგი მოწოლას არ ასუსტებდა. ფაშისტთა ყუმბარები ჯავშნიან მატარებლებთან სულ უფრო ახლოს სკდებოდა. სულ უფრო ხშირად საჭირო ხდებოდა მოკლულთა გამოტანა და დაჭრილთა გამოყვანა.

იმ ჯავშნიან მატარებელზე, სადაც მეთაურად არის ამხ. ბოროდავკო სროლამ შესუსტება იწყო. ეს რომ შეამჩნიეს ფაშისტებმა მოწოლა გააძლიერეს. მაშინ მებრძოლებმა ტანკებს გრანატები დააყარეს. სერჟანტი ჩერემისინი და წითელარმიელი ზარუბინი ჯავშნიან მატარებლიდან გამოვიდნენ, გერმანელ ტანკებთან მიხოხდნენ და რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო გრანატი სტყორცნეს მათ. მტრის კიდევ ორი მანქანა გამოვიდა მწყობრიდან.

ასევე გმირულად იბრძოდნენ იმ ჯავშნიანი მატარებლის მებრძოლები და მეთაურები, სადაც მეთაურად არის ამხ. კუჩმა. ოთხი ყუმბარა მოხვდა კოშკურას. მაგრამ ქვემეხი დაუზიანებელი დარჩა, და ლეიტენანტი ტაჯიევი კვლავ პირდაპირი დამიზნებით ანადგურებდა თითქმის უშუალო სიახლოვეზე მოსულ მტერს.

მხოლოდ გვიან საღამოს დამთავრდა საბჭოთა ჯავშნიანი მატარებლების ბრძოლა ფაშისტთა ტანკებთან. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 18 დამწვარი, დამსხვრეული მანქანა და უკან დაიხიეს.

დარტყმები ჰაერიდან

ტყვე გერმანელმა ჯარისკაცმა ალფრედ ჰელმუტმა დაკითხვისას განაცხადა:

— ის, რაც რუსების ავიაციამ ჩვენს კოლონას დამართა, აუწერელია. თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, ჩვენი საქმე ძალიან ცუდად წავა.

ტყვე არ ცდილობდა ქათინაურებით შეემკო ჩვენი მფრინავები. პირიქით, იგი ბევრ რამეს არ ამბობდა. საქმე კი ასე მოხდა:

გერმანელებმა გადასწყვიტეს დიდი სატანკო შენაერთით გამოჭრილიყვნენ ჩვენი თავდაცვის ფლანგში და ხელთ ეგდოთ პუნქტი ნ. სამხედრო ჯარებს, რომლებიც ამ ზღუდეს იცავდნენ, მიეშველნენ იმ ნაწილის მფრინავები, სადაც მეთაურად არის ამხ. ვერშინინი. მოიერიშე თვითმფრინავები და ბომბდამშენები თავს დაატყდნენ გერმანელთა კოლონებს, ერთი შემოვლა, მეორე, მესამე... ყოველი დაბომბვის შემდეგ ჩერდებოდნენ მტრის დაზიანებული ტანკები, ცეცხლი უჩნდებოდა საწვავ ცისტერნებს, სამუდამოდ მიწაზე გართხმული რჩებოდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები.

მეორე დილით თავდასხმა განმეორებულ იქნა, და მტერმა კვლავ დიდი ზარალი განიცადა ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ. ამ უბანზე მტრის შემოტევა შეჩერებულ იქნა.

ფაშისტებმა საველე აეროდრომი მოაწყეს, მაგრამ ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს ის. მტრის აეროდრომის და იქ მყოფი თვითმფრინავების ლიკვიდაცია დაევალათ 6 ნაწილის მფრინავებს. გაფრინდა 17 მანქანა. მალე ჩვენმა მფრინავებმა შეამჩნიეს ორი ათეული „მესერშმიტი“, რომლებიც თავისი აეროდრომისაკენ მიდიოდნენ.

წამყვანმა სიგნალი მისცა, და საბჭოთა თვითმფრინავები ბრძოლაში გაეშურნენ. ოცწუთს გასტანა გააფთრებულმა შეტაკებამ ჰაერში. მფრინავებმა გორკოვმა და კულიშოვმა პირველმა გახსნეს ჩამოგდებულ ფაშისტურ თვითმფრინავთა ანგარიში. ტყვიამფრქვევის ცეცხლით ორი „მესერშმიტს“ ცეცხლი წაეკიდა და ისინი მიწას დაენარცხნენ, მალე გერმანელთა კიდევ ერთი თვითმფრინავი მფრინავმა გორელოვმა ჩამოაგდო.

ფაშისტთა დანარჩენმა მანქანებმა სცადეს ღრუბლებში შეეფარებინათ თავი, მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა პაველოვმა, ლიუბაევმა, ტატარკინმა, ბაკლეევმა და შლიაპკინმა ოსტატური მანევრით გზა გადაუჭრეს მათ. გერმანელები იძულებული გახდნენ ბრძოლა განეგრძოთ. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი, და ხუთი საბჭოთა მფრინავიდან თითოეულს თავის ანგარიშზე ჰქონდა თითო ჩამოგდებული „მესერშმიტი“.

მტრის რვა თვითმფრინავი იწოდა მიწაზე, როდესაც გორელოვმა და ეგოროვმა ტყვიამფრქვევის ჯერებით ფაშისტთა კიდევ ერთი მანქანა ჩამოაგდო, ხოლო ჩამოგდებულ მტრის ცხრა თვითმფრინავს მალე მეათეც მიემატა.

უკვე მაშინ, როცა შინ ბრუნდებოდა, კულიშოვმა ბომბები დააყარა მიწაზე მდგომ „იუნკერს—52“-ს.

ი. მედვედოვსკი.

„იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტი მოქმედი არმია.

(„იზვესტია“, 8 სექტემბერი).

მოიერიშე მფრინავი მშვენიერაძე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი მარიუტინი გაზეთ „სტალინსკია სოკოლში“ 28 აგვისტოს ნომერში შემდეგს მოგვითხრობს ცნობილ მოიერიშე მფრინავ მშვენიერაძეზე: „უკვე ათი წუთია ტბას თავზე მივფრინავთ. სიღრმიდან ვეძებთ მტრის სათვალთვალო საგუშაგოებს, რომ მოულოდნელად მეხივით დავატყდეთ თავს. ჩემს გვერდით მოფრინავს რინინი, რომელიც ჩვენთან ბომბდამშენი ავიაციიდან მოვიდა, ცოტა მოშორებით — პაველენკო, ხოლო მეორე მხარეზე მეთაურები — ფროლოვი და მშვენიერაძე. ამ უკანასკნელს ფიცხი ხასიათი აქვს. ვიცი, ახლა ის ბრაზობს, რომ წყლის ზემოთ ფრენა მეტისმეტად გაჭიანურდა. იგი მოუთმენელია, ეს ტემპერამენტიანი კავკასიელი, მას ბრძოლაში ჩაბმა ეჩქარება. სანამ მოიერიშე გახდებოდა, მშვენიერაძე გამანადგურებელი მფრინავი იყო. მან ჩვენში სახელი გაითქვა, როგორც სატრანსპორტო თვითმფრინავებზე მონადირემ და „მესერშმიტებთან“ შეუპოვარმა მებრძოლმა. ზოგი მოიერიშე ცდილობს მოშორდეს მტრის ავიაგამანადგურებელს, კლაკნილი ფრენით მიდის, ხრამებში ან ტყის თავზე იმალება. მშვენიერაძე კი მყისვე მობრუნდება და ბრძოლას უმართავს. მის ხელში მოიერიშე თვითმფრინავი სრულიად მოულოდნელ ფიგურებს აკეთებს. ეს ჩვენც გვაკვირვებს და გერმანელებსაც. ერთხელ მშვენიერაძე მარტო იბრძოდა სამ „მესერშმიტს“, ერთი მათგანი ჩამოაგდო, ორი კი განდევნა.

წყლის კაშკაშა სივრცე გათავდა. უეცრად ჩვენი მრისხანე მანქანა მეტად მოულოდნელი მჭუხარედ ზედ დაეტყდა თავს გერმანელთა ავიაგამანადგურებლების სადგომს და დაუშინა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. ამ თავდასხმის შემდეგ გადარჩენილ გერმანელებს შეეძლოთ თავზარდაცემულებს ეცქირათ თავიანთი ალმოდებული თვითმფრინავებისათვის, უფრო გაბედულ მეზენიტეებს, რომლებმაც ქვემეხებს მიაშურეს, წინასწარ გათვალისწინებული ცეცხლით მუსრი გაავლეს რინინმა და მშვენიერაძემ.

ვ. ყარა-მურზა

სიმონ შკალენკო

შესასრულებელი იყო რთული ოპერაცია. ამ ოპერაციის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო პატარა დემონსტრაცია მოეხდინათ მოწინააღმდეგის განლაგებაში და ამავე დროს ცნობები შეეკრიბათ მის შესახებ. ვის შეიძლება მიენდოს ეს პასუხსაგები დავალება? ამ კითხვით მიმართა თანაშემწეებს მეთაურმა, რომელიც წინასწარ დარწმუნებული იყო პასუხში:

— მებრძოლ სიმონ შკალენკოს.

მართლაც, ქვეგანაყოფში ბევრი აღმოჩნდებოდა ისეთი მებრძოლი, რომელსაც შეეძლო უალრესად პასუხსაგები დავალება შესრულებინა, ბევრი მამაცი, მიმხვედრი, ინიციატივიანი ადამიანის გამოძებნა შეიძლებოდა, მაგრამ უპირატესობა მაინც შკალენკოს მხარეზე იყო. ყველამ იცოდა, რომ შკალენკო არა მარტო შეასრულებდა დავალებას, არამედ ოსტატურადაც შეასრულებდა, რომ მას ვერავითარი სიძნელე ვერ შეაჩერებდა. ერთი სიტყვით, შკალენკოს მხარეზე იყო უპირატესობა ადამიანისა, რომელსაც ყოველ საქმეში შეაქვს შემოქმედებითი აღფრთოვანება.

აი ამიტომ შეჩერდნენ მებრძოლ შკალენკოზე — ახალგაზრდა, მხიარულ წითელარმიელზე, რომელიც უბრალოდ და ადვილად იტანდა სალაშქრო ცხოვრების მთელ სიძნელეს და რომელმაც ომის ქარცეცხლში გამოატარა და შეინარჩუნა თავისი მომხიბლავი ხალისიანობა.

„საარავისო“ ზოლი, რომელიც საბჭოთა სიმაგრეებსა და მოწინააღმდეგის სანგრებს შუა მდებარეობდა, შეუმჩნევლად იქნა გავლილი, და უკვე მტრის გახლაგებაში, სადაც შკალენკო პლასტუნურად მიხოხავდა მაღალ ბალახსა და ჯაგებში, მან შენიშნა თხრილი, რომელშიაც შენიღბული იყო ნაღმსატყორცნი. შორიახლო ხილის ტყვიამფრქვევი იდგა; იქვე მოწყობილიყო 6 ჰიტლერელი — 4 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი, — რომლებიც უშიშრად გრძნობდნენ თავიანთ თავს.

ბუჩქებში სწრაფად მომწიფდა, საბჭოთა მებრძოლი ზამბარასავით გაიშალა; მან ელვის სისწრაფით სტყორცნა მტრის ხელის გრანატები, ჰაერში ავარდა მიწის გორახები, მტვერში გაეხვია აფეთქების ადგილი და, როდესაც მტვერი გაიფანტა, შკალენკომ დაინახა რომ მიწაზე 5 ჰიტლერელის გვამი ეგდო. მაგრამ მეექვსე სადღაა? იგი უკვე შორს იყო, ლასრულად გარბოდა საბჭოთა მებრძოლისაგან, რომელიც საიდანღაც გაჩნდა.

— ვერა, ვერ წამიხვალ, — წაიჩურჩულა შკალენკომ და გაქცეულს გამოეკიდა. ეს შკალენკოს დავალებაში არ შედიოდა, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება. და იმანაც არ გაუშვა ხელიდან შემთხვევა — ჰიტლერელი ტყვედ ჩაიგდო და საბჭოთა ნაწილის განლაგებაში მოიყვანა.

— დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული, — გაიღიმა მეთაურმა. — მადლობა, ამხანაგო შკალენკო. დაისვენეთ და მერე შემომიარეთ.

და აი შკალენკო ისევ მეთაურთან არის. მას ახალი დავალება ეძლევა: გამოარკვიოს — საიდან ისვრის მტრის ნაღმსატყორცნი ბატარეა. კვლავ გადალახულ იქნა „საარავისო“ ზოლი, შკალენკო კვლავ ხოხვით მიიპარება ხევებითა და ჯაგებით მტრის თავდაცვის სიღრმეში. ბორცვს იქით, ხევში მან აღმოაჩინა ფაშისტთა ბატარეა, რომელსაც საბჭოთა სარდლობა დიდხანს ეძებდა ამაოდ. თითქოს შეიძლებოდა გამობრუნება — დავალება შესრულებული იყო. მაგრამ ეს შკალენკოს არა სჩვევია.

იგი გულმოდგინედ შეიპარა, ახლოს მიხოხდა და გრანატები სტყორცნა. გრანატების ნამსხვრევებით განადგურებულ იქნა ბატარეის მთელი პერსონალი. ახლა მეთაურის დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული და უკან გამობრუნება შეიძლება. შკალენკო საჩქაროდ გამოხოხდა განზე, სწრაფად გაძვრა ხევში და ბუჩქებით მიცოცავს. აი უკვე მიუწვდომელი დარჩა ჯაგები, რომელიც გერმანელებმა ასტეხეს. აქ მას შეუძლია სული მოითქვას და გზა განაგრძოს. მაგრამ საბჭოთა მებრძოლს მოელოდა ახალი, ამჯერად უკვე მოულოდნელი შეხვედრა.

ხევს იქით ტყვე წითელარმიელთა მდუმარე ჯგუფი შენიშნა. ისინი გერმანელი მცველებით იყვნენ გარშემორტყმულნი და სამლავს სთხრიდნენ თავიანთათვის. გერმანელები კი მოუთმენლად აჩქარებდნენ მათ კონდახებით. ფიქრის დრო აღარ იყო. ზედიზედ გაისმა გრანატების აფეთქება, რომლებიც შკალენკომ ისროლა ტყვეების ჯგუფის მოშორებით. გერმანელები სახტად დარჩნენ, როდესაც დაინახეს, რომ მათ შეიარაღებული საბჭოთა მებრძოლი დაესხა თავს. შკალენკოს მის მიერ განთავისუფლებული წითელარმიელები მიეშველნენ და რამდენიმე წუთში მოუღეს ბოლო გერმანელებს.

ნაცადი მეთაურიც კი განცვიფრდა, როდესაც შკალენკო საკომანდო პუნქტზე მარტო კი არ მოვიდა, არამედ წითელარმიელთა მთელი ჯგუფიც მოიყვანა თან.

— დავალება შესრულებულია, ამხანაგო მეთაურო, — უპატაკა შკალენკომ და შეატყო, მხედრული ლაკონიური სიტყვით უამბო თუ როგორ მოხდა ყოველივე. ხოლო შემდეგ მეთაურის მადლობა რომ მოისმინა, თავის გადარჩენილ ერთ-ერთ წითელარმიელს მხარზე ხელი დაჰკრა და კარგი, გაბედული, ახალგაზრდული გიჟმაჟი ღიმილით უთხრა:

— კვლავ იცოდეთ, ქვეყანად მოიქეცით, უოულაპიერ, და ტყვედ აღარ ჩავარდეთ...

და თავის ადგილას გაემართა სანგარში, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ეს იყო მისი ჩვეულებრივი საბრძოლო დღე, ისეთი დღე, როგორიც ბევრი ყოფილა წარსულში და კიდევ ბევრი იქნება მომავალში.

ბ სერგეევი.

იმ ბავშვების ძებნა, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს

მილიციის მთავარ სამმართველოსთან მოწყობილია ცენტრალური საცნობარო-სამისამართო ბავშვთა ბიურო იმ ბავშვების მოსაძებნად, რომლებიც ომის დღეებში დაიკარგნენ. აღრიცხვაზე აყვანილია ყველა საბავშვო დაწესებულება—მიმღები სახლები, საბავშვო სახლები, სასკოლო ინტერნატები, რომლებიც ომის განმავლობაში ევაკუირებულ იქნენ ჩვენი ქვეყნის შიდა რაიონებში. ბავშვთა ძებნაში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმული არიან კომკავშირული ორგანიზაციები. სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები. (საქტესი).

ჩერჩილის სიტყვა თემთა პალატაში სამხედრო მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკდეს). რეიტერის სააგენტო დაწვრილებით გადმოგვცემს იმ სიტყვის შინაარსს, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა 8 სექტემბერს თემთა პალატის სესიაზე წარმოსთქვა სამხედრო მდგომარეობის საკითხზე.

მას შემდეგ, რაც თემთა პალატა საარდადეგოდ იქნა დათხოვნილი, სთქვა ჩერჩილმა, რამდენიმე მნიშვნელოვანი საომარი ოპერაცია ჩატარდა.

ჩერჩილი შეეხო დიეპზე მოწყობილ თავდასხმას და განაცხადა: „ეს რეიდი უნდა განვიხილოთ, როგორც დაზვერვა ბრძოლით. ეს მძიმე, სასტიკი შეტაკება იყო. შესაძლოა, რომ ასეთი შეტაკება უფრო და უფრო ხშირად განმეორდება ომის გაფართოების მიხედვით. უნდა მიღებულ იქნას საჭირო ინფორმაცია, სანამ უფრო დიდი მასშტაბის ოპერაციებს მოვაწყობდეთ".

ჩერჩილმა აღნიშნა, დიეპზე თავდასხმა მიმაჩნია საჭირო წინასწარ მომზადებად ფართო მასშტაბის ოპერაციებისთვისო. „მე არ ვაპირებ,—სთქვა ჩერჩილმა,—რაიმე ცნობები მოგცეთ ამ ოპერაციის შესახებ, და ამ საკითხს იმდენად, რამდენადაც მე ეს გავაკეთე, მხოლოდ იმიტომ შევეხე, რომ მოწინააღმდეგეს შეუძლია ყოველდღიური დაზვერვით ჩვენი ნავსადგურების თავზე დაინახოს მოძრაობის მრავალი ნიშანი, რაც ჩვენ არ ძალგვიძს დავუმალოთ მის ფოტოხელსაწყოებს.

მან იცის აგრეთვე, რომ ინგლისში გამუდმებით და სწრაფად მოედინება ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების და სხვა ჯარების დივიზიები. რაც მან არ იცის, ეს ის არის, თუ როდის, როგორ და სად, რა ძალებითა და რანაირად ვაგემებთ მას ძლიერ დარტყმას, და ამ მხრივ სასურველია, რომ მან ეს არც იცოდეს, არ მიიღებს რა დახმარებას ინგლისის ან ამერიკის რჩევისა თუ კომენტარების სახით". (სიცილი).

შემდეგ ჩერჩილი შეჩერდა ამერიკისა და ავსტრალიის შეიარაღებულ ძალთა უკანასკნელ ოპერაციებზე წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელად შევიკრიბეთ, — განაცხადა ჩერჩილმა,— ომის ტენდენციები კვლავ ჩვენს სასარგებლოდ ვითარდებოდა. რუსეთის ფრონტის შესახებ ამ მომენტში მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ახლა 8 სექტემბერია. სხვა სექტორებში კვლავ აღინიშნება მოკავშირეთა ზრდადი ბატონობა ავიაციის დარგში. ივნისიდან მოყოლებული სექტემბრის პირველ კვირამდე, რაც ეს არის დამთავრდა, ჩვენ გერმანიაში თითქმის ერთიორად მეტი ბომბი ჩამოვყარეთ, ვიდრე ჩამოყრილ იქნა შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდში, ამასთან უფრო მეტი სიზუსტით".

ჩერჩილი შეჩერდა საზღვაო ომის მიმდინარეობაზე და განაცხადა, რომ ზარალი, რაც ზღვაში მოგვდის, თუმცა ჯერ კიდევ მეტად მძიმეა, მაგრამ ივლისი, აგვისტო და სექტემბრის დასაწყისი გარკვეულ გაუმჯობესებას გვიჩვენებს წინა თვეებთან შედარებით. ამ თვეების განმავლობაში გაერთიანებული ერების მიერ ახალი სავაჭრო გემების აგების მრუდემ გარკვეულად გადასჭრა ჩაძირული გემების ხაზი და ამ ხაზს ზემოთ არის. ამავე დროს, აღნიშნა ჩერჩილმა, მტრის სულ უფრო და უფრო მეტ წყალქვეშა ნავებს სპობენ მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალები. მოკავშირეთა ომი წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ უფრო მარჯვე იყო, ვიდრე ომის რომელიმე სხვა პერიოდში. (ტაში). შემდეგ ჩერჩილი შეჩერდა გაერთიანებული ერების, განსაკუთრებით ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების, სარდლობისა და მოქმედებათა გაერთიანებისა და კონცენტრაციის ღონისძიებებზე. ჩერჩილმა ილაპარაკა, რომ ინგლისში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისია გენერალ მარშალის მეთაურობით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ივლისის დამლევს დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო გეგმების შესახებ.

„დიდ ბრიტანეთისა და შეერთებულ შტატებს შორის დადებულ შეთანხმებათა ამ კომპლექსით შეიარაღებულმა და პალატის კეთილი ნება-სურვილით ზურგგამაგრებულმა, რაც პალატამ განსაკუთრებით შავბნელ, მძიმე და შფოთიან მომენტში გამოხატა,—სთქვა შემდეგ ჩერჩილმა,—მე ვისარგებლე საპარლამენტო არდადეგებით, რომ მენახა არმია ახლო აღმოსავლეთში და პრემიერი სტალინი მოსკოვში. (ტაში). ეს მგზავრობა საჭირო იყო საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. (ტაში). მე ვფიქრობ, რომ მიღწეული შედეგები, თუმცა ისინი ამჟამად საიდუმლოებას წარმოადგენენ, როგორც კი ცხადი გახდებიან, გაამართლებენ ყოველგვარ დახარჯულ ენერგიას ან ყოველგვარ გაწეულ ხარჯს". (სიცილი).

ჩერჩილი შეეხო ინგლისის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას ეგვიპტეში და სთქვა: მე-8 არმიამ 80 ათასზე მეტი კაცი დაჰკარგა. იგი მაისიდან მოყოლებული უკუგდებულ იქნა თითქმის 400 მილზე და ამასთან უდიდესი ზარალი მოუვიდა საომარი საჭურვლის, მასალისა და ტრანსპორტის მხრივ. განსაკუთრებით სწრაფი წინსვლა რომმელისა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის გამო, რომ მან გამოიყენა ხელში ჩაგდებული საწყობები და მანქანები. ელ-ჰაზალასთან ბრძოლებში, უკანდახევის პირობებში და ელ - ალამეინთან ბრძოლებში ოკინლეკმა შესძლო ფრონტის სტაბილიზება.

ამჟამად მოკავშირეებს ეგვიპტეში ჰყავთ ძალიან ძლიერი, კარგად ეკიპირებული და გაბედულებით აღსავსე არმია, რომელიც ხელს უშლის დამპყრობის შემდგომ წინსვლას. იმისათვის, რომ უდაბნოს არმიას მიეღო მანევრირების სრული თავისუფლება, — განაგრძო ჩერჩილმა, — ნილოსისა და მისი დელტის გასწვრივ შეიქმნა ახალი არმია. ამ რაიონში პირობები მთლიანად განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებიც უდაბნოშია გამეფებული. რომმელს განზრახვა არა ჰქონდა რისკი გაეწია და გადაეწყვიტა ამ არმიის გარშემოვლა, და მან პირდაპირი დარტყმა ამჯობინა ხმას, რომ გაემეორებინა ის ტაქტიკური ხერხი, რასაც მან ელ-ჰაზალასთან მიმართა. მას დაუხვდნენ არა მარტო ინგლისის ჯავშანსატანკო ნაწილები, არამედ ინგლისის არტილერიაც, რომელიც გამოყენებულ იქნა დღემდე უმაგალითო მასშტაბებით. ინგლისელებს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ ჯავშანსატანკო ნაწილების მხრივ, თუმცა არა ჰქონიათ მძიმე ტანკების საკმაო რაოდენობა, და კვლავ უეჭველი ბატონობა ჰქონდათ ჰაერში. ამრიგად, ღერძის სახელმწიფოთა შემომტევი არმია, რომელიც აყვანილ იქნა 12 დივიზიამდე და დამატებით მომარაგებული იყო მეტად მძლავრი არტილერიით, რომელსაც ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა საშუალო ქვემეხებისა და მძლავრი ჯავშანსატანკო ნაწილების მხრივ, ჯერ შეჩერებულ იქნა, შემდეგ კი იძულებული გახდა ნელა და განუხრელად უკან დაეწია, ამასთან დიდი ზარალი განიცადა ტანკებისა და მანქანების მხრივ. „ჩვენ საფუძველი გვაქვს, —სთქვა ჩერჩილმა, — უკანასკნელ კვირაში წარმოებული ბრძოლები განვიხილოთ როგორც არც თუ ისე არადამაკმაყოფილებელი (სიცილი), განსაკუთრებით, როცა მათ ვადარებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ორთვენახევრის წინათ ვიყავით".

ჩერჩილმა პალატას უამბო ეგვიპტის მეფე ფარუკთან და ირანის შაჰთან შეხვედრის შესახებ. ამ ორივე ახალგაზრდა მმართველმა,—სთქვა ჩერჩილმა, — დამიდასტურა თავიანთი ლოიალობა გაერთიანებული ერების საქმისადმი.

შეეხო რა მოსკოვში მგზავრობას, ჩერჩილმა სთქვა: „ჩემი მისიის ძირითადი მიზანი იყო მოსკოვის ნახვა და ეს მე შევასრულე, კაიროდან გავფრინდი მოსკოვს, მხოლოდ ერთი შეჩერებით თეირანში. ჩვენ მთაგრეხილებით უნდა გვეფრინა 19 ათას ფუტ სიმაღლეზე, მაგრამ რადგან დღისით მივფრინავდით, მხოლოდ 13 ათას ფუტ სიმაღლეზე ვიყავით და ნაშუადღევს მოსკოვს მივაღწიეთ. ჩემი მისიის ამ ეტაპზე ჩემი თანამგზავრი იყო რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰარიმანი, რომელსაც შეეძლო პრეზიდენტის სახელით ელაპარაკნა. ჩვენ ოთხი დღე გავატარეთ სტალინთან საუბარში, ამასთან ჩვენი საუბრები 5-6 საათს გრძელდებოდა და ჩვენ განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სერიოზულობით ვიხილავდით ყველა საკითხს. საიმპერიო შტაბის უფროსი და გენერალი უეიველი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ტექნიკურ საკითხებზე რუსეთის ორ წამყვან სამხედრო მოღვაწესთან. ჩვენ ყოველგვარ საკითხებს შევეხეთ. ჩვენ მიერ მიღწეული გადაწყვეტილებანი საიდუმლოდ უნდა დარჩნენ. ამ გადაწყვეტილებათა შესახებ მე კაბინეტის წევრებს ვაცნობე. შემიძლია მხოლოდ ერთი რამ ვთქვა: მამაცი რუსები არ ფიქრობენ, რომ ჩვენ ან ამერიკამ საკმარისი რამ გავაკეთეთ მათი ტვირთის შესამსუბუქებლად და ეს არც არის საკვირველი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შეტევის სისასტიკეს, რომელსაც ისინი განსაკუთრებული შეუპოვრობით უმკლავდებიან. ადვილი როდია განვუმარტოთ რუსებს საზღვაო ტვირთზიდვის სიძნელეები, ვინაიდან რუსეთი უწინარეს ყოვლისა კონტინენტური ქვეყანაა, მაშინ როდესაც ჩვენ კუნძულების ქვეყანა ვართ. ძნელია სავსებით აეუხსნათ მათ სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ღონისძიებათა სულ სხვადასხვანაირი დამახასიათებელი თვისებანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ რუსეთის ბელადებს ჩავუნერგეთ იმის რწმენა, რომ ჩვენ ლოიალური ვართ და გულწრფელად გვაქვს გადაწყვეტილი დავეხმაროთ რუსებს ისე ჩქარა, როგორც კი ეს შესაძლებელია, არაფრად ჩავაგდოთ მსხვერპლი და ზარალი, რაკი ეს საჭიროა გამარჯვების მისაღწევად.

სტალინთან შეხვედრა ისეთი მოვლენა იყო, რომელიც ჩემთვის დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ჩემი ჩასვლის მიზანი იყო სრული ნდობის დამოკიდებულება დამემყარებინა, მსგავსად იმისა, როგორც ეს დამოკიდებულება დავამყარე რუზველტთან, და ვფიქრობ, რომ, მიუხედავად იმ ბაბილონის გოდოლის სიდიდისა, რომელიც კვლავ არსებობს როგორც თავისებური ბარიერი, ჩვენ მნიშვნელოვან წილად მივაღწიეთ ამას. რუსეთისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ მისი ტანჯვის ჟამს მას სათავეში უდგას ეს დიდი, მტკიცე მხედართმთავარი. სტალინი არის დიდი და ძლიერი პიროვნება, რომელიც იმ მღელვარე დროებას შესაბამება, რომელშიც მას ცხოვრება უხდება. იგი უშურველი მამაცობისა და ნებისყოფის ძალის მქონე უბრალო ადამიანია, ლაპარაკში პირდაპირი და მკვეთრიც კი, რაც მე, როგორც თემთა პალატაში გაზრდილ კაცს, არ შემიძლია არ დავაფასო, განსაკუთრებით, როდესაც რამდენადმე ჩემს თავზედაც შემიძლია ამის თქმა. უწინარეს ყოვლისა, სტალინი ისეთი კაცია, რომელსაც აქვს ჰუმორის ის მხნეული გრძნობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისათვის და ყველა ერისათვის და განსაკუთრებით კი დიდი ადამიანებისა და დიდი ბელადებისათვის. სტალინმა ჩემზე მოახდინა აგრეთვე შთაბეჭდილება იმ ადამიანისა, რომელსაც გააჩნია ღრმა, დარბაისლური სიბრძნე და რომელსაც არავითარი ილუზია არა აქვს. მე მრწამს, რომ მოვახერხე მეგრძნობინებინა მისთვის, რომ ჩვენ კარგი და ერთგული ამხანაგები ვართ ამ ომში, მაგრამ ამას დაამტკიცებენ საქმენი და არა სიტყვანი.

ერთი რამ სავსებით ცხადია—ეს არის რუსეთის ურყევი გადაწყვეტილება იბრძოლოს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბოლომდე, მის საბოლოო განადგურებამდე. სტალინმა მითხრა, რომ რუსი ხალხი ჩვეულებრივს პირობებში თავისი ბუნებით მშვიდობისმოყვარე ხალხია, მაგრამ საშინელმა მხეცობამ, რაც ამ ხალხის წინააღმდეგ არის ჩადენილი, მასში გამოიწვია ისეთი გააფთრება და აღშფოთება, რომ მას ხასიათი გამოეცვალა. როცა თვალუწვდენელი მთაგრეხილებითა და უდაბნოებით უკან მოვფრინავდი კაიროს, თან მომქონდა რწმენა, რომ ბრიტანეთის იმპერიას, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ჰიტლერმა ისეთი კავშირი და თანამეგობრობა გამოსჭედა, რომლებიც საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ მიწას დაანარცხოს ჰიტლერი, და საკმაოდ მტკიცეა, რომ იარსებოს მანამდე, სანამ დასჯილ არ იქნება მისი ბოროტმოქმედებანი, და მანამდე, სანამ ლიკვიდირებულ არ იქნება მის მიერ ჩადენილი ბოროტების თუნდაც ნაწილი".

„ამჟამად ჩვენ მარტონი როდი ვართ, არამედ ვიმყოფებით მსოფლიოში უდიდეს ბელადთა და ერთა მძლავრ თანასაზოგადოებაში, რომლებიც ერთად მიდიან წინ აბსოლუტური გამარჯვების მოსაპოვებლად მანამდე, სანამ იგი არა მარტო მოპოვებულ იქნება, არამედ ურყევ საფუძვლებზეც იქნება დამყარებული. მიუხედავად ჩვენ მიერ გამოვლილი მძიმე მოვლენებისა და კატასტროფებისა, ჩვენი ძალები გაიზარდნენ, ამასთან ჩვენ არ გვიფიქრია შესვენებაზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაიზარდა არა მარტო ჩვენი საკუთარი სიძლიერე, არამედ შეერთებული შტატების წონაც სულ უფრო საგრძნობი ხდება ბრძოლაში".

„გერმანია ამჟამად ევროპის ყოველ ქვეყანაში უფრო მეტ სიძულვილს იწვევს თავისადმი, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. ათობით ქვეყანაში ჰიტლერელთა სადამსჯელო რაზმები ყოველ დილით იწყებენ თავიანთ შავბნელ მუშაობას, და სისხლის მდინარეები ჰყოფენ გერმანელებს ევროპის დანარჩენი ხალხებისაგან".

„როდესაც ევროპაში ჩამოჰკრავს განთავისუფლების ჟამი, ხოლო იგი კი აუცილებლად ჩამოჰკრავს, ეს იქნება სამაგიეროს მიზღვის ჟამიც. (ტაში). მე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმას, რომ ინგლისის მთავრობა და თემთა პალატა უყოყმანოდ შეუერთდნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ ამას წინათ წარმოთქმულ საზეიმო სიტყვებს, —ისინი, ვინც დამნაშავენი არიან ნაცისტთა ბოროტმოქმედებებში, წარსდგებიან იმ ქვეყნების ტრიბუნალების წინაშე, სადაც მათი მხეცობა იყო ჩადენილი, ისე რომ ეს გახდეს მკაცრ გაფრთხილებად მომავალი საუკუნეებისათვის და რომ ადამიანთა შემდგომ თაობებს შეეძლოთ განაცხადონ: „დაიღუპოს ყველა, ვინც კვლავ ამგვარი რამ ჩაიდინოს".

თეთრი სახლის განცხადება ა. შ. შტატების წარმომადგენელთა მგზავრობის შესახებ ლონდონს

ვაშინგტონი, 9 სექტემბერი (საკდეს). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამერიკის არმიის შტაბის უფროსი გენერალი მარშალი, სამხედრო-საზღვაო მთავარი შტაბის უფროსი ადმირალი კინგი და რუზველტის წარმომადგენელი ჰოპკინსი ივლისში ლონდონს ეწვივნენ და ითათბირეს ჩერჩილთან და ინგლისის შტაბების უფროსებთან. თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია: „ამერიკის შტაბების უფროსებმა და ბ-ნმა ჰოპკინსმა მონაწილეობა მიიღეს ინგლისის შტაბების უფროსებსა და ინგლისის პრემიერთან მნიშვნელოვან თათბირებში, რომლებიც ათ დღეს გაგრძელდა. ამ თათბირების დროს გულდასმით იყო განხილული ომის წარმოების მთელი საკითხები და, პრეზიდენტის მოწონებით, მიღებულ იქნა საჭირო გადაწყვეტილებანი საომარ ოპერაციათა შესახებ.

რუზველტის მდივანი ერლი იმავე დროს ეწვია ლონდონს, რათა ეთათბირნა ინგლისის ინფორმაციის მინისტრ ბრეკენთან. ლონდონიდან უკან დაბრუნებისას თათბირთა ამერიკის მონაწილეებმა ინახულეს ისლანდია, სადაც მათ დაათვალიერეს ამერიკის ბაზები".

ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში ინდოეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდეს). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით ინდოეთის მდგომარეობის შესახებ. მან სთქვა, რომ მდგომარეობა ინდოეთში უმჯობესდება და მთლიანად დამაკმაყოფილებელია, იმ დეკლარაციის პრინციპები, რომელიც ინგლისის მთავრობამ გააკეთა და რომელიც ინდოეთში კრიპსის ძირითად მისიას წარმოადგენდა, მტკიცე და უცვლელი რჩება.

შემდეგ ჩერჩილმა სთქვა, რომ, თუმცა კრიპსის წინადადებანი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მიერ უარყოფილ იქნა, საკითხი ამით არ მთავრდება, ვინაიდან კონგრესი არ წარმოადგენს მთელს ინდოეთს და არ წარმოადგენს ინდოელთა მასასაც კი.

ჩერჩილის სიტყვით, ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა ამჟამად უარი სთქვა წინააღუდგომლობის პოლიტიკის გატარებაზე, რომლის პროპაგანდასაც განდი დიდხანს ეწეოდა, და აშკარად დაადგა ისეთი მოქმედების გზას, რომელსაც მიზნად აქვს „გაადნელოს ინდოეთის დაცვა იაპონელი დამპყრობის წინააღმდეგ, რომელიც იმყოფება ასამის საზღვრებზე, აგრეთვე ბენგალის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე". „სავსებით შესაძლებელია,—სთქვა ჩერჩილმა, — რომ ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ეს მოქმედება დახმარებას იღებდა იაპონიის მეხუთე კოლონის მხრივ, ამასთან ამ დახმარებას მეტად ფართო მასშტაბები აქვს და განსაკუთრებით სტრატეგიული პუნქტების რაიონებში. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ ინდოეთის იმ ძალთა კომუნიკაციები, რომლებიც ბენგალის პროვინციას იცავენ ასამის საზღვრებზე, განსაკუთრებით აქტიურ თავდასხმებს განიცდიან".

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ასეთ ვითარებაში ინდოეთის მეფის ნაცვალმა და მთავრობამ საჭიროდ ჩასთვალეს აეკრძალათ კონგრესის ცენტრალური და პროვინციული ორგანოები და დაეპატიმრებინათ განდი და კონგრესის სხვა ლიდერები.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ კონგრესი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მეომარ რასებზე, რომლებზედაც, თუ ინგლისის ჯარებს არ ჩავთვლით, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინდოეთის დაცვა. თუმცა ინდოეთში არ არსებობს სავალდებულო სამხედრო ბეგარა,—სთქვა ჩერჩილმა,—მიუხედავად ამისა, უკვე მილიონზე მეტმა ინდოელმა ნებაყოფლობით განაცხადა სურვილი ემსახუროს გაერთიანებული ერების საქმეს. უკანასკნელ ორ თვეში 140 ათასზე მეტი ახალი მოხალისე მოვიდა არმიაში.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ კონგრესი უძლური აღმოჩნდა გაეხრწნა ინდოეთის არმია ან ხელი შეეშალა ინდოელ მოხელეთა უდიდესი აპარატისთვის მისი მოვალეობის შესრულებაში. ინდოეთის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება მუშაობას განაგრძობს. პროვინციულ მთავრობათა მინისტრები თავიანთ პოსტებზე რჩებიან. კონგრესის ცდები—მოშალოს კომუნიკაციები—იფუშება, ხოლო ძარცვისა და ცეცხლწაკიდების აქტები იხშობა და მცირე მსხვერპლის გაღებით ისჯება. ჩერჩილმა სთქვა, რომ ინდოეთში მივიდნენ დიდი დამხმარე ძალები და დასასრულ დაარწმუნა თემთა პალატა, რომ „ინდოეთის მდგომარეობა ამ მომენტში არავითარ საბაბს არ იძლევა მეტისმეტი გულგატეხილობისა ან განგაშისათვის".

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდეს). რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა ოპოზიციის ლიდერი ლეიბორისტი არტურ გრინვუდი. „ჩვენ არ უნდა ჩავვარდეთ, — სთქვა მან,—ერთგვარ ფუჭსავატ უდარდელობაში სავაჭრო ფლოტის მდგომარეობის საკითხის გამო. სავაჭრო ფლოტის მდგომარეობა, საბოლოო ანგარიშით, რაც უნდა ილაპარაკონ საჭურვლის წარმოების შესახებ, ამჟამად ომის ყველაზე უფრო ძნელ საკითხს წარმოადგენს". შეეხო რა ჩერჩილის მგზავრობას მოსკოვში, გრინვუდმა განაცხადა, რომ ინგლისის საზოგადოებრიობამ კმაყოფილებით შეიტყო ამ მგზავრობის ამბავი. ინგლისელი ხალხი ღრმად არის დარწმუნებული, რომ, რაც უნდა ბევრი რამ გააკეთოს მან რუსეთისათვის, ეს საკმაო არ არის. ამ მგზავრობას მოწონებით შეხვდნენ სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი იმის იმედს იწვევს, რასაც შეუძლია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს ომის წარმოების დარგში.

კონსერვატორმა კერმ სთქვა, დადგა დრო, როცა მეორე ფრონტის შესახებ გარკვევით უნდა მოვილაპარაკოთ. კერმ განაცხადა, რომ როდესაც დასავლეთში შეტევა დაიწყება, მას სერიოზული ოპერაციის ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა რაღაც დროებითისა.

ლეიბორისტმა ჰეიდენ გესტმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ჩერჩილმა არ აცნობა თემთა პალატას, თუ რატომ უფრო მეტად მზად არ არის ამჟამად მთავრობა დასავლეთში შეტევისათვის. გერმანია,—სთქვა მან,—შეიძლება დამარცხებულ იქნას მხოლოდ მატერიკზე შეტევითი მოქმედების შედეგად, და ეს არ შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ გერმანიის ქალაქთა დაბომბვით, რასაც მოქმედების შორი რადიუსის თვითმფრინავები აწყობენ.

იმის გამო, რომ კამათში გამოსვლის მსურველი არავინ იყო, ჩერჩილის სიტყვის განხილვა შეწყვეტილ იქნა.

დაძაბული მდგომარეობა საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში

ლიონის გენერალ-გუბერნატორის გადაყენება

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდეს). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, საფრანგეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ლავალმა თანამდებობიდან გადააყენა და არმიიდან დაითხოვა ლიონის გენერალ-გუბერნატორი გენერალი სენ-ვინსენი იმისათვის, რომ მან უარი სთქვა ჯარები გადაეცა სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებაში, რათა მასობრივი დაპატიმრება მოეწყოთ ვიშის ბრძანების თანახმად.

ლიონში ამ უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში დემონსტრაციები იმართება და ხელისუფლებასთან შეტაკებები ხდება. მრავალ დაპატიმრებას თან ახლავს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მებრძოლი საფრანგეთის ლონდონის მთავარ შტაბში მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის ყველა რაიონში გამეფებულია ძლიერი მღელვარება ლავალის უკანასკნელი ტერორისტული მოქმედების გამო. საფრანგეთის არაოკუპირებული ზონის ყველა დიდ ქალაქში დაძაბული მდგომარეობაა.

როგორც გაზეთი „დეილი ექსპრესი" იუწყება, უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში ლავალის ხელისუფლებმა ასობით კათოლიკე მღვდლები დააპატიმრეს იმისათვის, რომ მათ მოსახლეობას თავიანთ ქადაგებებში წაუკითხეს ლიონისა და ტულუზის არქიეპისკოპოსების წერილები; ეს არქიეპისკოპოსები მკვეთრად ჰგმობენ ებრაელთა მასობრივ არადამიანურ დევნას და მოუწოდებენ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ათასობით ებრაელ ბავშვებს, რომელთაც აღარც მშობლები ჰყავთ და აღარც სახლ-კარი და საჭმელი მოეპოვებათ.

მიტინგი ნიუ-იორკში „შრომის დღესთან" დაკავშირებით

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საკდეს). „შრომის დღესთან" დაკავშირებით, რაც ყოველ წელს იმართება ა. შ. შტატებში 7 სექტემბერს, მის წინადღეს ნიუ-იორკში შესდგა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც ასი ათასამდე კაცი უესწრო. მიტინგის მონაწილენი მქუხარე ოვაციით მიესალმნენ სტუდენტთა საერთაშორისო ყრილობის საბჭოთა დელეგატებს.

შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ჩინეთისა და მებრძოლი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ნიშნები გადაეცათ.

ვაშინგტონში სტუდენტთა საერთაშორისო ყრილობის საბჭოთა დელეგაციის წევრის სახელგანთქმულ საბჭოთა სნაიპერ ლიუდმილა პავლიჩენკოსათვის ნიშნის გადაცემის დროს ნიუ-იორკის შტატის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფკავშირული ცენტრის მდივანმა მილსმა განაცხადა: „ჩვენ მხურვალე სურვილს გამოვთქვამთ, რომ ჰიტლერი და მისი ფაშისტური ურდოები მალე აღმოჩნდნენ უდიდეს აღგზნებულ ორ საბრძოლო ხაზს შუა".

ნიუ-იორკის მერმა ლა-გარდიამ წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაველიჩენკო არის სიმბოლო არა მარტო დიდი ხალხის მამაცი არმიისა, არამედ მთელი მსოფლიოს იმ ქალთა სიმბოლოც, რომელნიც პროტესტს აცხადებენ უმწეო ქალებისა და უმანკო ბავშვების მასობრივი ჟლეტის წინააღმდეგ".

საყოველთაო გაფიცვა ლუქსემბურგში

ლუქსემბურგში შემოღებულია საგანგებო წესები

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდეს). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ლუქსემბურგში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ლუქსემბურგი გერმანიის შემადგენლობაში შეიყვანეს და ლუქსემბურგელი ახალგაზრდობა გერმანიის არმიაში გაიწვიეს. ლუქსემბურგში გამოცხადებულია საგანგებო წესები. ეს პირველი საყოველთაო გაფიცვაა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში. ლუქსემბურგის ჰიტლერელმა მმართველმა სიმონმა გამოაცხადა, გაფიცვის ბევრ მონაწილეს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს და ისინი დაუყოვნებლივ დახვრეტილი იქნებიანო.

გერმანიის კონცესიის გაბათილება არგენტინაში

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საკდეს). არგენტინის მთავრობამ გააბათილა კონცესია, რომელიც გერმანიის საავიაციო კომპანია „კონდორს" ჰქონდა მიცემული საავიაციო ხაზის ექსპლოატაციისათვის.

ფაშისტთა ტერორი ბალტიისპირეთში

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდეს). ბალტიისპირეთში გამომავალი ფაშისტური პრესა ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ ჰიტლერელთა ხელისუფლები სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებიან, რომელსაც მოსახლეობა უწევს ოკუპანტებს. ამის გამო ჰიტლერელები თავიანთ საპოლიციო რაზმებს აძლიერებენ და საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავთ ისინი. გაზეთების ცნობით, აგვისტოში ბერლინიდან რიგასა და ტალინში დაბრუნდა პოლიციელთა ორი ჯგუფი, რომლებმაც სპეციალური „ინსტრუქტაჟი" გაიარეს გერმანიაში. „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდში" მოთავსებულია განცხადება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ პროვინციებში მყოფმა „სს"-ელებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ რიგაში მყოფ „სს"-ელთა ხელისუფლებს თავიანთ მოვალეობათა შესახებ დაწვრილებითი ინსტრუქციების მისაღებად. ლატვიის „სს"-ელთა და პოლიციის მეთაურმა შრედერმა ამას წინათ საპოლიციო ნაწილების საინსპექციო შემოწმება მოახდინა. მან განაცხადა, რომ პოლიციის მოვალეობას შეადგენს გასწმინდოს სახელმწიფო მრავალი შეიარაღებული ჯგუფისაგან (ე. ი. პარტიზანებისაგან), რომელნიც დაუცხრომელ ბრძოლას, ეწევიან საოკუპაციო ხელისუფალთა წინააღმდეგ.

უკანასკნელ თვეებში ოკუპანტების მიერ გამოცემული მრავალი დადგენილება მოწმობს ანტიგერმანული მოქმედების გაძლიერებას. 1 ივლისიდან ოკუპირებულ ბალტიისპირა რესპუბლიკებში 16 წლისაზე უფროსი ასაკის პირნი ვალდებულნი არიან სპეციალური ნებართვა მიიღონ იმ ადგილიდან წასვლის შემთხვევაში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ამ წესის დამრღვევთ საკატორღო მუშაობით სჯიან.

ამ დღეებში გაზეთი „რევალერ ცაიტუნგი" იუწყებოდა, რომ ტალინში გერმანიის სპეციალური ტრიბუნალის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა განცხადება, ვითომც ბალტიისპირა რესპუბლიკებში მალე შემოღებულ იქნება ახალი სასტიკი გერმანული კანონი „საბოტაჟის გამწევთა", პარტიზანებისა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გამოცემულია განკარგულება, რომელიც კრძალავს ნიჩბიანი და იალქნიანი ნავებით მიმოსვლას ესტონეთის სანაპიროსთან.

ბულგარეთში საეჭვო თავდასხმებს აწყობენ დიპლომატიურ შიკრიკებზე

სტამბოლი, 6 სექტემბერი (საკდეს). გაზეთი „ლა ტიურკი" აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ეხება საკითხს იმის შესახებ, რომ მრავალი შემთხვევაა ნეიტრალური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა თანამშრომლებზე თავდასხმისა, რაც უკანასკნელ ხანს მოახდინეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. მიმდინარე წლის აგვისტოში სტამბოლს მიმავალ მატარებელში უცნობთა ჯგუფი სოფიიდან მატარებლის გასვლის შემდეგ მალე თავს დაესხა მატარებელში მყოფ შვეიცარიის დიპლომატიურ შიკრიკს და მთელი დიპლომატიური ფოსტა გაიტაცა. მანამდე შვეციის დიპლომატიურ შიკრიკს დაესხნენ თავს ბულგარეთის ტერიტორიაზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ორ გარემოებას, რაც ყურადღებას იქცევს: ბულგარეთის ტერიტორიაზე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტები მეტად ხშირად მეორდება, რის გამო შემთხვევითად ვერ ჩაითვლება, და არც ერთ აღნიშნულ შემთხვევაში არ აღმოუჩენიათ ბულგარეთის ხელისუფალთ დამნაშავენი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ბულგარეთის ხელისუფლები სრული პასუხისმგებელი არიან ამ თავდასხმებისა, რადგანაც, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებათა თანახმად, ხელისუფალნი ვალდებულნი არიან უზრუნველჰყონ ბულგარეთის ტერიტორიით მიმავალი უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენლების უშიშროება. გაზეთი აცხადებს, რომ ბულგარეთი, რომელიც ხელს აფარებს უცხოეთის იმ აგენტებს, სპეციალურად რომ ეწევიან დიპლომატიური დოკუმენტების ქურდობას, ნეიტრალური ქვეყნებისადმი მტრული მოქმედების ბაზად იქცევა, და, მისი აზრით, ასეთი ფაქტების განმეორების შემთხვევაში ნეიტრალურ ქვეყნებს შეუძლიათ ერთგვარი რეპრესიული ღონისძიებანი გამოიყენონ ბულგარეთისადმი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს

აგარის შაქრის ქარხანა სეზონის წინ

აგარის შაქრის ქარხანა (დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე) სერიოზული ამოცანების წინაშე დგას. კიდევ რამდენიმე დღე და ქარხანამ უნდა დაიწყოს 1942 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება. აგარის ქარხნის კოლექტივი დაძაბულ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს სეზონს.

ქარხანაში მოწყობილობა-დანადგარების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ძირითადად დამთავრებულია. სარემონტო ბრიგადებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ს. ჩოჩიშვილის ბრიგადამ ივლის-აგვისტოს გეგმა 188 პროცენტით შეასრულა. კარგად იმუშავეს ბრიგადის წევრებმა მახარობლიძემ და გელაშვილმა. ი. იკოევის ბრიგადამ ვადაზე, ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა რემონტი. ბეჯითი მუშაობით გამოირჩევიან გ. ნერგაძე, გ. შირინაძე. პ. გოგოტაშ ბრიგადამ მაღალხარისხოვნად დაამთავრა ჭარხლის გადამამუშავებელ საამქროში მოწყობილობა-დანადგარების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი.

სტახანოველმა ოსტატმა გავრილუკმა საგაზო ღუმელების კაპიტალური რემონტი ფრიადზე დაამთავრა და აგვისტოს გეგმა 250 პროცენტით შეასრულა. ასეთები აქ ბევრია.

ქარხანა უზრუნველყოფილია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, მომზადდა 15 კვალიფიციური მუშა.

სერიოზული ყურადღება ექცევა შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტების სრულ წესრიგში მოყვანას. სპეციალურ კურსებზე მომზადდა 35 კაცი, რომელნიც იმუშავებენ მოანგარიშეებად, მწონავებად. შეკეთებულია სასწორები.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის რიგზე. მაგალითად, ძალოვან საამქროში რემონტის ტემპები არადამაკმაყოფილებელია, აქ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი რესურსების მთლიანად გამოყენებას.

ქარხანას ესაჭიროება სეზონური მომუშავეები. საჭიროა ამ საკითხის დაჩქარებით მოგვარება.

აგარის ქარხნის სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა სეზონის დაწყებამდე დარჩენილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მზადების ფართოდ გასაშლელად. ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ შაქრის ჭარხლის გადამუშავების სეზონს, ომიანობის შესაფერისი ტემპებით ვაწარმოოთ შაქრის ჭარხლის გადამუშავება, მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი შაქარი — აი, ეს არის საბრძოლო ამოცანა.

ვ. ინასარიძე

ემზადებიან დიდი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის

გორი („კომუნისტის" კორ.). ომიანობის შესაფერისი ტემპებით მუშაობენ სოფ. კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობამ გასულ წელთან შედარებით ჰექტარზე ერთნახევარი ცენტნერით მეტი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი მიიღო. გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება შაქრის ჭარხლის ამოღებისა და საშემოდგომო თესვისათვის.

კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გაეცნენ ქალაქ მოლოტოვის მშრომელთა მიტინგის წერილს — პატაკს ხალხთა დიდ ბელად ამხანაგ სტალინისადმი. მოლოტოველთა წერილის გაცნობასთან დაკავშირებით საუბარში მეხუთე ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ტიგრან ბერაშვილმა განაცხადა: — პურეულის მოსავალი წელს დაწესებულ ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აეიღეთ. მზად ვართ შაქრის ჭარხლის ამოსაღებად. დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის შესახვედრად ვკისრულობთ სიმინდის მოსავალი ავიღოთ 10 სამუშაო დღეში, გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდისათვის დავთესოთ საშემოდგომო კულტურები 3 ჰექტარზე. ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მე-13 და მე-14 ბრიგადების ბრიგადირებმა.

კარალეთის კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა მზადება დიადი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. კოლმეურნეობამ იკისრა შემჭიდროებულ ვადებში აიღოს შაქრის ჭარხლის მოსავალი, ვადამდე დაამთავროს საშემოდგომო თესვა, თესვის გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდისათვის დასთესოს 50 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა სოფ. სვენეთის, ხელთუბნის და ოხერას კოლმეურნეობებში.

შ. ჩუგინიძე

ჭიათურელ კოლმეურნე სტახანოველთა შეკრება

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჩატარდა ჭიათურის რაიონის კოლმეურნე სტახანოველთა შეკრება, რომელმაც მოისმინა რაიმიწგანის გამგის ამხ. ა. კობახიძის მოხსენება — სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და სტახანოველთა ამოცანები.

მეჩხეთურელმა სტახანოველმა კოლმეურნემ ამხ. დ. ბურჯანაძემ და კაცხელმა კოლმეურნემ ამხ. ტ. მოდებაძემ შეკრებას მოუთხრეს თავიანთი გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ მიაღწიეს მოსავლიანობის გადიდებას.

მანდაეთელმა კოლმეურნე სტახანოველმა ოლღა მუმლაძემ განაცხადა: ჩვენ ფრონტზე წასული შვილები, ძმები და ქმრები შევცვალეთ. საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებულად ვმუშაობთ. ახლა, როცა ჩვენს საყვარელ სამშობლოს თავს დასტრიალებს მრისხანე საფრთხე, ჩვენ, კოლმეურნე ქალები, უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებთ, ფრონტსა და ქვეყანას მივცემთ მეტ პროდუქტებს.

სოფ. ზედა-უსახელოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. სამხარაძემ ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რაც კოლმეურნეობამ შრომის სწორი ორგანიზაციით და აღრიცხვით მოიპოვა. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ქ. კაპანაძემ (ჩხირაული), ს. სამხარაძემ (ვეტუქში), ს. კაპანაძემ (კაცხი), შ. ციცვიძემ (მანდაეთი), რ. ფანჩვიძემ (გუნდაეთი), ან. გაფრინდაშვილმა (პერევისა), გ. გაბესკელიანმა (ზოდი), ვ. ბიწაძემ, ლ. ყაველაშვილმა და სხვ.

შეკრებამ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე მოისმინა რაისაბჭოს აღმასკომისა და სარაიონო ჟიურის თავმჯდომარის ამხ. გრ. ჭელიძის მოხსენება.

წარმატებითი მუშაობისათვის რაიონული გარდამავალი წითელი დროშები გადაეცა სოფ. ზედაუსახელოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. სამხარაძე) და მანდაეთის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ა. ბლიაძე). შეკრებამ აღნიშნა აგრეთვე სოფ. ქვედა უსახელოს, მანდაეთის და გუნდაეთის კოლმეურნეობათა კარგი მუშაობა. მათ ჯილდოდ ჯიშიანი მოზარდი ცხენები მიეცათ.

გეგმების შესრულება

წულუკიძის რაიონმა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 122,6 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 19.250 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 23.609 კილოგრამი პარკი. დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი **გორგიძე**

• • •

ქარელის რაიონის რუისის მტს-მა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა 119 პროცენტით შეასრულა. მოსავალი აღებულია 2.506 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 ჰექტარისა. კომბაინერმა ჯავახიშვილმა მოსავალი აიღო 414 ჰექტარზე, მაზმიშვილმა 306 ჰექტარზე. სტახანოვურად იმუშავეს აგრეთვე კომბაინერებმა გულარაძემ, ტიტვინიძემ. ამჟამად კომბაინები გამოყენებულია მარცვლეულის ლეწვაზე.

რუისის მტს-ის დირექტორი **კოპაძე**
პოლიტგანყოფილების უფროსი **სიორდია**

• • •

გურჯაანის რაიონმა მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 113 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 87 ცენტნერი პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 77 ცენტნერისა. დამზადება გრძელდება.

შ. მაჭავარიანი

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

საოპერა — 11 სექტემბერს — „დაისი", 12 სექტემბერს — „რახილ", 13 სექტემბერს დღისით — „ქეთო და კოტე". **რუსთაველის სახელობის** — 11 სექტემბერს — „კიკვიძე", 12 სექტემბერს და 13 სექტემბერს დღისით და საღამოს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 11 სექტემბერს — „ხანუმა", 12 სექტემბერს — „გრიგალი", 13 სექტემბერს დღისით — „ხანუმა". **გრიბოედოვის სახელობის** — 11 სექტემბერს — „ბარბაროსები", 12 სექტემბერს და 13 სექტემბერს დღისით და საღამოს — „თივა და ავი ძაღლი". **სომხური თეატრი** — 11 სექტემბერს — „გეორქ მარზპეტუნი", 12 სექტემბერს — „რუსი ხალხი", 13 სექტემბერს დღისით და საღამოს — „ნამუსი". **ახუნდოვის სახელობის** — 11 სექტემბერს — „ქემალ", 12 სექტემბერს — „ლეილი და მაჯნუნი", 13 სექტემბერს დღისით და საღამოს — „გულშან ანა". **მუსიკალური კომედიის** — 11 სექტემბერს — „საქორწინო მოგზაურობა", 12 სექტემბერს — „აყვავებული ბაღი", 13 სექტემბერს დღისით და საღამოს — „არშინ-მალ-ალან". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 12 და 13 სექტემბერს — „რომეო და ჯულიეტა". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — 12 და 13 სექტემბერს — „სახლი გორაკზე". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — 12 სექტემბერს — „ანაიდ". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე სასულე ორკესტრი, ჯაზი, ცეკვები, საპარკო ატრაქციონი, კარუსელი და სხვ.

ძაღლების რეგისტრაცია და შერჩევა წითელი არმიის საჭიროებისათვის

ქალაქ თბილისის სამხედრო კომისრის ბრძანებით ქალაქ თბილისში გამოცხადებულია ყველა ჯიშის, ასაკისა და ორივე სქესის ძაღლთა რეგისტრაცია. ძაღლების პატრონები ვალდებულნი არიან მიიყვანონ თავიანთი ძაღლები თავდაცვა-ავიაქიმის სასამსახურო მეძაღლეობის კლუბში (ხეთაგუროვის ქ. № 13) დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ძაღლების პატრონები, რომლებიც მოლოტოვის და სტალინის რაიონებში ცხოვრობენ, თავიანთ ძაღლებს მიიყვანენ რეგისტრაციაზე 11 სექტემბერს; ლენინისა და ბერიას რაიონებში — 12 და 13 სექტემბერს; ორჯონიკიძის, კიროვის და 26 კომისრის რაიონებში—14 და 15 სექტემბერს. რეგისტრაციის დროს პატრონებმა თან უნდა იქონიონ ძაღლის საყელური და საბელი.

ის პირნი, რომლებიც ზემოდასახელებულ ვადებში არ წარადგენენ სარეგისტრაციოდ თავიანთ ძაღლებს, მიცემული იქნებიან სასამართლო პასუხისგებაში ომიანობის დროის კანონების მიხედვით. სახლის მმართველები და კომენდანტები ვალდებულნი არიან უზრუნველჰყონ პატრონების მიერ ძაღლების თავის დროზე მიყვანა რეგისტრაციაზე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, კომკავშირელი, სპარტაკი და ლუქსემბურგის სახ. — „გიორგი სააკაძე", 26 კომ. სახ. — „პეპო", კომინტერნი — „საიდუმლო კუნძული".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი იუწყება მე-4 კურსის სტუდენტ
თებრონე (ქენია) ისიდორეს-ასულ ცხაკაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/IX, სოფ. ქვაითში (გეგეჭკორის რ.). 1136

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის I და II სამკერვალო ფაბრიკასთან არსებული საბავშვო ბაღის კოლექტივი იუწყება სასწავლო სამმართველოს უფროსის ანდრია თათარიშვილის შვილის
ნ ე ლ ი ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/IX, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 171. 1137

მთავარი საფოსტო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ცაცა ზარიძის ძმის
გიორგი ივანეს-ძე ზარიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11 და 12/IX, 6 ს. კობის გასავალი № 3. დაკრძალვა 13/IX, 2 ს. 1138

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან თამარ ბაბუნაშვილის დედის
აგრაფინა სიმონის-ასულ ბაბუნაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მუხიანში 13/IX. 1034

საქ. გეოლოგიური სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყება ამავე სამმართველოს ინჟინერ იპოლიტე კერესელიძის დედის
ეფროსინე ნიკოლოზის-ასულ კერესელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/IX, 6½ ს. ორჯონიკიძის ქ. № 72. 1037

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან მიშა ოგანეზოვის მამის
გიორგი მიხეილის-ძე ოგანეზოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/IX, 6 ს. გამოსვენება ბუფერის ქ. № 1 (ლენინის რაიონი). 1035

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 11146